

მასმედიის ზეგავლენა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოზე

ქეთევან გრიგალაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის  
სკოლის სისხლის სამართლის ფაკულტეტზე სამართლის მაგისტრის აკადემიური  
ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

სამაგისტრო ნაშრომი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ბესიკ ქვარცხავა, სამართლის მაგისტრი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021

*„როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“*

ქეთევან გრიგალაშვილი

2021 წელი

## აბსტრაქტი

მოცემულ სამაგისტრო ნაშრომში განხილული იქნება, თუ როგორ ხდება 300 კანდიდატიდან მხოლოდ 12 ნაფიც მსაჯულსა და 2 სათადარიგო მსაჯულის შერჩევა და ვისაუბრებ, რამდენად მნიშვნელოვანია ეს ეტაპი სამართლიანი სასამართლო განხილვის. ჩემი ნაშრომის მიზანია პასუხი გაეცეს კითხვას, თუ რამდენად არის შესაძლებელი 21-ე საუკუნეში ისე წარიმართოს ნაფიც მსაჯულთა სასამართლო, რომ არ დაირღვეს არც ევროკონვენციის და არც სსსკ-ით დადგენილი მოთხოვნები. იქიდან გამომდინარე, რომ ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტი ჩვენი კანონმდებლობით არ საბუთდება, რთულია იმის დადგენა კონკრეტულად რომელი მტკიცებულებების საფუძველზე მიიღეს ესა თუ ის გადაწყვეტილება და ხომ არ იქონია მედია საშუალებების, ჟურნალ-გაზეთების, თუ სოციალური ქსელების მეშვეობით გავრცელებულმა ინფორმაციამ მათზე გავლენა.

ის გარემოება, რომ საქართველოში არ არსებობს ნაფიც მსაჯულთა მხრიდან რაიმე კანონის დარღვევის ფაქტი, არ ნიშნავს, რომ მსგავს დარღვევებს ადგილი არ ჰქონია. ეს უფრო იმით უნდა იყოს განპირობებული, რომ ამ საკითხს სათანადო ყურადღება არ ექცევა და კვლევები არ არის ჩატარებული. აქედან გამომდინარე, ნაშრომში სხვა ქვეყნების მაგალითზე იქნება განხილული, რამდენად საფრთხის შემცველი შეიძლება იყოს ნაფიც მსაჯულთა მხრიდან „გახმაურებული“ საქმის განხილვა. ვისაუბრებ, ისეთ შემთხვევებზე, როდესაც სასამართლოს გაუუქმებია ნაფიც მსაჯულთა მიერ გამოტანილი ვერდიქტი, იმის საფუძველზე, რომ მათი გადაწყვეტილებაზე შესაძლოა გავლენა მოეხდინა მასმედიაში გავრცელებულ ინფორმაციას. ასევე, პრაქტიკაში არის შემთხვევები, როდესაც ნაფიც მსაჯულები ცდილობენ საქმეზე იმაზე მეტი ინფორმაციის გაგებას, ვიდრე პროცესზეა წარმოდგენილი, ამისთვის კი, სხვადასხვა ხერხს მიმართავენ, რომლებიც ასევე იქნება ნაშრომში განხილული.

საბოლოოდ, იმ კვლევების გათვალისწინებით, რომლებიც აღნიშნული სამაგისტრო ნაშრომის ფარგლებში ჩატარდა, დადგინდა, რომ მასმედიის ზეგავლენის საფრთხე ნაფიც მსაჯულებზე რეალურ პრობლემას წარმოადგენს, რომელსაც უფრო დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს. საქართველოს კანონმდებლობა კი მასმედიის ზეგავლენისგან თავის დასაცავად იყენებს მხოლოდ სასამართლო სხდომის გადატანას ერთი ქალაქიდან მეორეში, რაც ჩვენი ქვეყნისთვის შეიძლება ითქვას, რომ არაეფექტურია.

**სამიუბო სიტყვები:** ნაფიც მსაჯულთა სასამართლო; ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტი; სამართლიანი განხილვის უფლება; მასმედიის ზეგავლენა; უდანაშაულობის პრეზუმფცია.

## Abstract

This master's thesis discusses how only 12 jurors and 2 spare judges are selected from the 300 candidates and what stages the parties have to go through to get a jury that could be trusted to decide the future of the defendant. Due to the fact that the jury verdict is not substantiated according to the criminal procedure of Georgia, it is difficult to determine on the basis of which evidence the jury received this verdict. This threatens that the juror might be guided not only by the evidence presented at the trial, but also by the information provided to them through the media, magazines, newspapers, or social networks.

The purpose of the study is to analyze how legally a 21st-century jury trial could be conducted without violating either the requirements of the ECHR or the Criminal Procedure Code of Georgia. The fact that there is no violation of any law by jurors in Georgia does not mean that such violations have not taken place. I think this is more due to the fact that this issue is not given proper attention. Therefore, the paper will discuss the example of other countries, how threatening it can be to hear a high-profile case by a jury. There have been numerous instances where a court has overturned a verdict rendered by a jury on the grounds that their decision might have been influenced by media reports. Also, there are cases when jurors try to understand more information about the case that is presented at the trial and resort to various methods that will inevitably be discussed in the paper.

Finally, the research showed that the threat of media influence on a jury trial could violate the right to a fair trial. Against the background of all this, the Georgian legislation uses only the transfer of court proceedings from one city to another to protect itself from the influence of the media, which could be ineffective.

**Search Keywords:** Jury trial; Jury verdict; The right to a fair trial; The influence of the mass media; The presumption of innocence; Fair trial.